ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

მწერლის მსოფლმხედველობის და პოეტიკის ზოგიერთი თავისებურების ურთიერთგანპირობებულობა უილიამ ფოლკნერის ნოველაში ,,იყო ერთი დედოფალი“

ნინო დონდოლაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
ელ.ფოსტა: Nino.dondoladze@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.13
SJIF 2026: 8.679

უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკის ერთერთი მთავარი მახასიათებელია, რომ მწერლის მსოფლმხედველობრივი მომენტები ზესემანტიკურ დონეზე აისახება მისი რომანების მხატვრულ ქსოვილში. ამ მხრივ, გამონაკლისს უილიამ ფოლკნერის არცერთი რომანი არ წარმოადგენს. თუმცა ადრეულ რომანებში მახასიათებელი – მსოფლმხედველობრივი მომენტის გამოხატვა წინადადების აგებულებით ჩანასახის სახით შეიმჩნევა. ფოლკნერის რომანში წინადადების თავისებური სტრუქტურით, სიტყვების ნიუანსირებული გამოყენებით მწერალი გამოხატავს თავის ისეთ მნიშვნელოვან სათქმელს, როგორიცაა დროის კონცეფცია, ის, რომ ცოდვიანი საწყისი მარცხდება, შეხედულებას, რომ ადამიანი გადარჩება და გაიმარჯვებს. უილიამ ფოლკნერი თავად წერდა, ვცდილობ ყველაფერი ერთი წინადადებით ვთქვაო. იგივე თავისებურებით ხასიათდება ფოლკნერის მცირე პროზაც. სტატიაში ნაჩვენებია, რომ. ნოველის პირველივე აბზაცის მხატვრულ ქსოვილში აირეკლება დროის ხანგრძლივი მონაკვეთი და უილიამ ფოლკნერის დროის კონცეფცია. სტრუქტურული ალუზიით (ბიბლიის ტექსტზე) გამოიხატება შეხედულება, რომ წარსულის სამყარო არ ტოვებს ადამიანებს და ისიც, რომ ადამიანი არა მხოლოდ გადარჩება, არამედ გაიმარჯვებს. რომ არა რელიგიური პლანი, რთული იქნებოდა ამ ნოველის პირქუშ გარემოში ადამიანის გამარჯვების რწმენის დანახვა. ნოველაში დროის ხანგრძლივი მონაკვეთი ხდება გმირის ამწუთიერი მდგომარეობის განმსაზღვრელი, მისი აწმყო. იგივე ხდება უილიამ ფოლკნერის ცნობილ მოთხრობაში ,,ვარდი ემილისათვის.“ განსაკუთრებით საინტერესოა ასევე პირველი წინადადება უილიამ ფოლკნერის ნოველისა ,,მიღმა“. ეს წინადადება საკმაოდ გრძელია და დროითი პლასტების ზედდებით გამოხატავს უილიამ ფოლკნერის დროის კონცეფციას. უილიამ ფოლკნერის შემოქმედებითი მეთოდის ეს თავისებურება, რომ მწერლის მსოფლმხეველობა განაპირობებს წინადადების აგებულებას ისევე

როგორც ტექსტის ზოგიერთ მორფოლოგიურ თავისებურებას ახასიათებს როგორც მწერლის რომანებს ასევე მოთხრობებს.

საკვანძო სიტყვები: მწერლის მსოფლმხედველობა, პოეტიკა, უილიამ ფოლკნერი, ნოველა ,,იყო ერთი დედოფალი“

უილიამ ფოლკნერის ნოველა ,,იყო ერთი დედოფალი“ არ არის მწერლის პოპულარული ნაწარმოები. ნოველა 1933 წელს გამოქვეყნდა. გამოქვეყნებამდე ფოლკნერს რამდენჯერმე უთხრეს მის დაბეჭდვაზე უარი. ნოველა შეეხება სარტორისების ოჯახის დაცემის ისტორიას და ფაქტიურად გაგრძელებაა ფოლკნერის რომანისა ,,სარტორისი“. ნოველაში მოქმედება მიმდინარეობს სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში. მწერლის მიერ გამოგონილ სამყაროში, იოკნაპატოფაში, კონკრეტულად, სამხრეთის ქალაქ ჯეფერსონში. ნოველის მოქმედება კონცენტრირებულია მის ჯენი დუ პრეზე. იგი სარტორისების ოჯახის უხუცესი მატრიარქია, შინაგანად იბრძვის შეინარჩუნოს ძველი სამხრეთის ხსოვნა, იყოს მისი ტრადიციების ერთგული მიუხედავად იმისა, რომ მის ირგვლივ სამყარო იცვლება და ახალგაზრდა თაობა განსხვავებულ გზებს ირჩევს. მის ჯინ დუ პრე ძველი სამხრეთის სახეა. ნოველიდან ნათელი ხდება, რომ დედოფალში მის ჯინ დუ პრე იგულისხმება და მისი სამეფო სარტორისების ოჯახია. ნოველის ბოლოს ჯინ დუ პრეს ფიზიკური არსებობა სრულდება და ნარცისა სარტორისი ხდება ახალი მატრიარქი. იგი თითქოს ახალი სამყაროს წარმომადგენელია, მაგრამ მისი მორალი ყალბია, თუმცა თავად ამას ვერ აცნობიერებს. ძველი სამყაროს ღირსება და დიდებაც მოჩვენებითია იმიტომ, რომ ეს სამყარო მონათმფლობელურია და არისტოკრატიული სამხრეთის წარმომადგენელი გმირები ილუზიების გამო რეალობას ვერ ხედავენ-- არც ჯინ დუ პრემ და არც ნარცისა სარტორისმა იციან, რომ ელნორა (აფროამერიკელი მოსამსახურე) უკანონო სარტორისია. ელნორა უფრო ახლოს მიდის რეალობასთან, ვიდრე ნარცისა სარტორისი და ჯინ დუ პრე. იგი შელამაზების გარეშე ჩაწვდება ნარცისა სარტორისის ფარისევლურ მორალს. როგორც მარგინალური ჯგუფის წარმომადგენელმა, ელნორამ იცის, რომ მონათმფლობელური სამყარო არ მიიღებს სრულფასოვან წევრად. ამიტომ , როცა ნარცისა სარტორსზე ამბობს, რომ იგი ვერასოდეს გახდება სარტორისი [Faulkner, 1995:338], ელნორა ვერ აღიარებს, რომ თავად სარტორისია. ამავე დროს ელნორას უყვარს მის ვირჯინია დუ პრე. ამ ნოველაშიც, ისვე როგორც , ,,ხმაურსა და მრისხანებაში“ (სადაც აფროამერიკელი დილზია აშკარად გამოხატული ქრისტიანული თვისებების მატარებელი და ამით გამოირჩევა იგი რომანის სხვა გმირებისგან), აფროამერიკელი გმირი, ვინც თავად ტრამვირებულია და არა ტრამვის გამომწვევი, დგას რაღაცით უფრო მაღლა ვიდრე სამხრეთული არისტოკრატიის წარმომადგენლები. ელნორას მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ ნოველა იწყება და სრულდება ელნორას გამოჩენით. რელიგიური პლანის შემომყვანიც ნაწარმოებში ელნორაა (ამ მომენტს ქვემოთ განვიხილავ). სხვა სათქმელთან ერთად. ამ ნოველის ერთერთი მთავარი სათქმელი კარმის მომენტის გადმოცემაა ეს, თავის მხრივ უილიამ ფოლკნერის მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილია. ფაქტიურად, მთელი

იოკნაპატოფას ციკლის ნაწამოებები ადასტურებს, რომ მონათმფლობელური სამხრეთი მარცხდება, რადგან ცოდვიან საწყისზე დგას, ,,სამყაროს ლოგიკა“ (ტერმინი გამოიყენა გიორგი ნათაძემ თავის ესეში ხელოვნების შესახებ) მოითხოვს მის დამარცხებას,

უილიამ ფოლკნერის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებაა, რომ მისი მსოფლმხედველობრივი მომენტების გამოხატვა ხდება როგორც შინაარსის, ასევე ზესემანტიკურ დონეზე, კონკრეტულად, თავისებური წინადადების სტრუქტურით, გრამატიკული და ნიუანსირებულად გამოყენებული ვერბალური საშუალებებით. ამ მხრივ გამორჩეულია უილიამ ფოლკნერის რომანი ,,აბესალომ, აბესალომ!“, რომელშიც ნაწარმოების პირველივე წინადადებაში ხდება დროითი, სუბიექტური, შემფასებლური პოზიციების და მათი მატარებლების ცვლა და ამ გზით წინადადებაში პირდაპირ ვლინდება მწერლის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი, მისი დროის კონცეფცია [დონდოლაძე, 2013:134], რომელიც მწერალმა ლოგიკურ ცნებებში გამოხატა: არ არსებობს ,,იყო“, არსებობს მხოლოდ ,,არის“, რადგან ,,იყო“ რომ არსებობდეს, ტანჯვა-წუხილი გაქრებოდაო [ფოლკნერი, 1984:69]. იგივეს ამბობს რომანის ,,აბესალომ, აბესალომ!“ გმირი კვენტინ კომპსონი: ,,Maybe nothing ever happens once and is finished” [Faulkner, 1982:249]. ფოლკნერის მსოფმხედველობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ადამიანი გადარჩება. მწერალმა ეს არაერთხელ გამოხატა და აღნიშნა ნობელის პრემიის მიღებისას ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში: „I believe that man will not merely endure: he will prevail.“ [Faulkner,1950].

ნოველაში ,,იყო ერთი დედოფალი“, როგორც ავღნიშნე, მონათმფლობელური წარსული ხელს უშლის სარტორისების ოჯახის წარმომადგენლებს დაინახონ რეალობა. ეს გარკვეულწილად ნოველის სათაურშივე ჩანს სუპერსემანტიკურ დონეზე. რთული არ არის სათაურში ,,იყო ერთი დედოფალი“ ზღაპრის დასაწყისის ამოცნობა(Once upon a time there was a . . .), ფოლკნერის სათაურში განუსაზღვრელია არტიკლიც, ისევე როგორც ზღაპარში, სადაც ერთი რომელიმე მონარქის ამბავს გიყვებიან.

ნოველა, როგორც ავღნიშნე ელნორას გამოჩენით იწყება. ნოველის პირველი აბზაცია: „Elnora entered the back yard, coming up from her cabin. In the long afternoon the huge , square house, the premises, lay somnolent, peaceful, as they had lain for almost a hundred years, since John Sartoris had come from Carolina and built it. And he had died in it and his son Bayard had died in it, and Bayard's son John and John's son Bayard in turn had been buried from iti even though the last Bayard didn't die there.“ [Faulkner, 1953:23]. მეორე წინადადებაში ფრაზა ,,long afternoon“ სუბიექტურ პოზიციას მიანიშნებს. შემდეგ იგივე წინადადებაში ჩნდება დროის 100 წლიანი მონაკვეთი მთელი თავისი ხანგრძლივობით და მთავარი გმირით (სახლი და მისი შემოგარენი თითქმის 100 წელია უცვლელად დგას იქ, სადაც ჯონ სარტორისმა ააგო). მთხრობელის სუბიექტურ პოზიციის გამოხატვასთან ერთად ხანგრძლივი დროის მონაკვეთის შემოყვანა ხდება. . ეს ასწლოვანი მონაკვეთი ვიღაცისთვის ცოცხალია იმ მომენტში, როცა ელნორა ეზოში შემოდის, წარსული არსებობს ახლაც. დროის კონცეფციის გამომხატველი წინადადებები, რომლებშიც სხვადასხვა

დროითი პლასტი მონაწილეობს , არაა ისე დახუნძლული სხვადასხვა პოზიციებით და მათი მატარებლებით, როგორც ზოგიერთი წინადადება ფოლკნერის რომანში ,,აბესალომ, აბესალომ!“ (რომანი გამოქვეყნდა ნოველის გამოქვეყნების შემდეგ, 1936 წელს) თუმცა დროითი პლასტების ზედდება ხდება და ეს მაინც მიანიშნებს და აირეკლავს მწერლის დროის კონცეფციას. პირველი აბაზაცის გარდა სხვა მონაკვეთშიც არის წინადადებები განსხვავებული დროითი პლასტებით, რომელთა არსებობაც აწმყოში წარსულის არსებობას მიანიშნებს. ნოველაში ასევე ხშირადაა გამოყენებული სრული წარსული დროის ფორმა და ხშირად დროის მონაკვეთის მითითებით (რაც ხაზს უსვამს ადამიანის დამოკიდებულებას ფიზიკურ დროზე). ზოგიერთ შემთხვევაში ისეა გამოყენებული, რომ მკითხველს შინაარსის გასაგებად ეს ინფორმაცია არ ჭირდება. ნამყოს სრულ დროსთან ერთად და სხვა წარსულ ფორმასთან ერთად მიყოლებით რამდენჯერმე განმეორებითაა ნახსენები, მაგალითად, 12 წელი (she had not entered in five years, had gone on so for years, it was almost twelve years ago, one afternoon, after twelve years, agent had had them twelve years, He had had them for twelve years.[Faulkner, 337-344]12 წელიწადი ხაზს უსვამს წარსულის ამ ინტერვალის მნიშვნელობას გმირისთვის. ნოველაში ხშირადაა გამოყენებული სიტყვა ,,dead”, რაც ასევე წარსულის შემოჭრას მიანიშნებს თავისი სემიანტიკით. არის წინადადება სუბიექტური პოზიციის ცვლითაც. თუმცა, უნდა ავღნიშნო, რომ ამ ნოველაში არ ჩანს წარსულის გამო ისეთი ტრაგიკული განცდა, როგორც ფოლკნერის სხვა ნაწარმოებებშია მიუხედავად იმისა, რომ ნოველის დასაწყისშივე აღნიშნულია , რომ სარტორისების ოჯახში მამაკაცი აღარ დარჩა. ნოველა უფრო აღწერილობითია და აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ძველ სამყაროს ახალი ცვლის (თუმცა, ეს ახალი არ არის მიმზიდველი).

ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტს პირველივე აბზაცში მოსდევს: ,,And he had died in it and his son Bayard had died in it, and Bayard’s son John and John’s son Bayard in turn had been buried from iti even though the last Bayard didn’t die there“ [Faulkner, 1953:23]. ეს წინადადება ალუზიაა მათეს სახარების პირველივე წინადადების (ისევე როგორც ძველი აღთქმის ზოგიერთ ნაწყვეტის), რომელშიც იესო ქრისტეს გენეალოგიაა გადმოცემული: **„**The book of the generation of Jesus Christ, the son of David, the son of Abraham. Abraham begat Isaac; and Isaac begat Jacob; and Jacob begat Judas and his brethren; And Judas begat Phares and Zara of Thamar; and Phares begat Esrom; and Esrom begat Aram; And Aram begat Aminadab; and Aminadab begat Naasson; and Naasson begat Salmon…” [Matthew 1; 2-4].

ფოლკნერის ზემოთ მოყვანილ წინადადებას შეიძლება ვუწოდოთ სინტაქსური ალუზია, იგი ზოგად ჟღერადობას აძლევს წინადადებაში გადმოცემულ ფაქტებს და მისი კონკრეტული, ამ კონტექსტში შეძენილი ფუნქციაა მიანიშნოს შეხედულებაზე: ადამიანი უკვდავია და უნდა გადარჩეს. ფოლკნერის მიერ გამოყენებული წინადადება შინაარსით ამქვეყნიური არსებობის დასასრულს გამოხატავს (,,had died”), ბიბლიური წინადადება კი გენეალოგიას დაბადების ასახვით გადმოცემს (,,begat”- შვა), ფოლკნერთან გარდაცვალებაა, ბიბლიაში – დაბადება. მიუხედავად ამ ურთიერთგანსხვავებისა შინაარსში, გვარის ისტორიის თავისებური

სტრუქტურით გადმოცემის გამო წინადადება აღიქმება ბიბლიურ ალუზიად, მკითხველს გაახსენებს იესო ქრისტეს გენეალოგიას. თავისი კონკრეტული ფუნქციით, იესო ქრისტეს გენეალოგიაზე მითითებით, ამ ალუზიას მკითხველთან მოაქვს განცდა და გამოხატავს იმ აზრს, რომ ქრისტემ, ერთმა ადამიანმა აიტანა და გაიმარჯვა, ამიტომ ზოგადად ადამიანს შეუძლია აიტანოს და გადარჩეს. ამ სინტაქსურ ალუზიის გარდა ამ ფუნქციისა ის კონკრეტული დანიშნულებაც აქვს , რომ წარსულის სხვადასხვა დროის გმირთა ჩამონათვალით უილიამ ფოლკნერის დროის კონცეფციას აირეკლავს – წარსულის ამ გმირებზე სუბიექტი, ელნორა ფიქრობს, ეს წარსული მისი აწმყოს აქტიური ნაწილია. ნოველის ბოლოს ელნორა მღერის ხმადაბლა: „. . . and she began to chant in faint sing-song: „Oh, Lawd; oh, Lawd,“ not loud“ [Fauklner; 1995:744]. . ფრაზა „Oh, Lawd; oh, Lawd“ ნიშნავს „Oh, Lord; oh, Lord“. ბიბლიურ ალუზიასთან ერთად რელიგიური პლანის შემოყვანას კვლავ ადამიანის გადარჩენის შესაძლებლობაზე მიანიშნებს.

მწერლის მსოფმხედველობრივი მომენტების გამოხატვა ზესემანტურ დონეზე სხვა ნოველებშიც ხდება. მაგალითად, ასე ხდება ნაწარმოებში ,,ვარდი ემილისათვის“, რომელიც თავისი გოტიკური ელემენტებით ბევრად უფრო მიმზიდველი ნოველა აღმოჩნდა როგორც კრიტიკოსებისათვის, ასევე ჩვეულებრივი მკითხველისათვის. თემურ კობახიძე მოთხრობაზე ,,ვარდი ემილისათვის“ მსჯელობისას აღნიშნავს,რომ ,,უბედურებად ქცეული დროის“ესთეტიკას ფოლკნერი პირქუში სახე-სიმბოლოებით გამოხატავს და მიცვალებულები მოთხრობაში თითქოს არ კვდებიან, სიუჟეტის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში და სიმბოლურ მოტივებში ისინი ისევე მონაწილეობენ, როგორც ცოცხლები.[კობახიძე; 2017:127].“ დავამატებ, რომ ნოველაშიც ,,იყო ერთი დედოფალი“. ისე აქტიურად არა როგორც ნოველაში ,ვარდი ემილისთვის“, მაგრამ მიცვალებულები მონაწილეობენ, წინდადების ფარგლებში გმირთა მთელი სამყარო შემოაქვთ და მწერლის მნიშვნელოვან სათქმელს გამოხატავენ თავიანთი არსებობით.

ფოლკნერის მსოფლმხედველობის, კონკრეტულად, მისი დროის კონცეფციის წინადადებაში გამოხატვის ნიმუშია ნოველის ,,მიღმა“ (,,Beyond“) პირველივე წინადადება: ,,THE HARD ROUND ear of the stethoscope was cold and unpleasant upon his naked chest; the room , big and square, furnished with clumsy walnut – the bed where he had first slept alone, which had been his marriage bed, in which his son had been concieved and been born and lain dressed for the coffin – the room familiar for sixty-five years, by ordinary peaceful and lonely and so peculiarly his own as to have the same odor which he had, seemed to be cluttered with people, though there were but three of them and all of them he knew: Lucius Peabody who should have been down town attending to his medical practice, and the two Negroes, the one who should be in the kitchen and the other with the lawn mower on the lawn, making some pretence toward earning the money which on Saturday night they would expect.“ [Faulkner; 1995:119-120]. ამ წინადადებაში ერთად ბრუნავს სხვადასხვა დროის ფენა, წარსულის გმირები და ამ გზით კვლავ გამოიხატება შეხედულება, რომ ეს წამი, წინა წამი, იმის წინა წამი ერთ მთლიანობას, ერთ მომენტს ქმნის და ერთად არსებობს სუბიექტურ დროში

აწმყოში. წინადადებისა და ფრაზის აგებულება ისევე როგორც სხვა გრამატიკული და ვერბალური საშუალებები ზესემანტიკურ დონეზე გადმოგვცემს იმას, რასაც ფოლკნერი ლოგიკური ცნებებით აყალიბებს თავის ინტერვიუებსა და სიტყვით გამოსვლაში. ასე ხდება არა მხოლოდ ფოლკნერის რომანებში, არამედ მეტნაკლებად, თუნდაც ზოგჯერ უფრო შესუსტებული სახით, მცირე პროზაში. ამის ნიმუშია ფოლკნერის ნოველაც ,,იყო ერთი დედოფალი“, რომელშიც ტექსტის ყველა დეტალი ფუნქციონალურია და მწერლის სათქმელი გამოისახება ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

ლიტერატურა:

1. **დონდოლაძე, ნ.** – უილიამ ფოლკნერის მსოფლმხედველობის გამომხატველი ვერბალური საშუალებები. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდ "ინტელექტის" ჟურნალი ,,ინტელექტი”, N2(46); გვ.134-138. თბილისი. 2013.
2. **კობახიძე, თ**. – დროისა და სივრცის აგებულება ფოლკნერის მოთხრობაში ,,ვარდი ემილისათვის“. ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ,,სჯანი“, N18, გვ.110–129. თბილისი. 2017.
3. **ფოლკნერი, უ.** საუბრები. მთარგმნ. ჩხეიძე პ., ჩხეიძე რ., თბილისი:.გამომცემლობა ,,ნაკადული“. 1984. 216 გვ.
3. **Faulkner, W.** – Absalom, Absalom!. Moscow: Progress Publishers. 1982.
4. **Faulkner, W**. – Collected Stories of William Faulkner. New York: Vintage.Books, A Division of Random House Inc. 1995. 912გვ.
5. **Faulkner,W.–** Banquet speech. [ელექტრონული რესურსი] <https://www.nobelprize.org/ prizes/literature/ 1949/faulkner/speech/ – მოპოვებულია 31.08.2026

Nino Dondoladze
Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
e-mail: Nino.dondoladze@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.13
SJIF 2026: 8.679

The Interplay of the Writer's Worldview and Poetic Features in William Faulkner's *There Was a Queen*

Abstract

One of the main characteristics of the poetics of William Faulkner's novels is that the author's worldview is reflected at the super-semantic level of his works. In this respect, no novel by William Faulkner is an exception. However, in his early novels, the expression of his worldview through sentence structure can be observed only in embryonic form.

Through distinctive sentence structures and the nuanced use of words, Faulkner conveys important aspects of his worldview, such as his concept of time, the importance of intention, and the conviction that humanity will endure and prevail. Faulkner himself wrote that he tried to say everything through a single sentence.

Faulkner's short fiction is characterized by the same feature. The author of the article examines the short story "There Was a Queen" and demonstrates that, through different temporal layers, Faulkner's concept of time is reflected in the very first paragraph of the story. Through a structural allusion to the biblical text, the author expresses the view that the world of the past never truly leaves people and that the man will not merely endure but prevail. Were it not for this religious dimension, it would be difficult to discern a belief in the man's ultimate triumph within the gloomy atmosphere of the story. The same phenomenon—the expression of the author's worldview through sentence structures—occurs in Faulkner's famous story "A Rose for Emily." The first sentence of Faulkner's story "Beyond" is also particularly interesting in this respect. This sentence is quite long and, through its different temporal layers, expresses Faulkner's concept of time at the super-semantic level.

This feature of William Faulkner's creative method—where the writer's worldview dictates sentence structure as well as certain morphological features of the text—characterizes his novels and short stories alike.

Keywords: Writer's Worldview, Poetic Features, William Faulkner „*There Was a Queen*"

რეცენზენტი: პროფესორი ბოჟენა ვრონა